სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №36/ბ

(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი „ 8 " მაისი " 2018 წელი

ერთი მხრივ, სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი რაზმაძის სახით და მეორე მხრივ, შპს „ორი ნაბიჯი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის შოთა გიორგაძის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ რა საქართველოს კანომდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტის თანახმად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.4. „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.5. „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში;

1.6. „საქონელი" - წინამდება ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ტრენინგებში მონაწილე პირებისთვის 36 ცალი 190 გრ. ხსნადი ყავის (Jacobs), 29 შეკვრა (შეკვრაში 25 ცალი პაკეტი კონვერტით) ჩაის (გურიელი), 10 კგ შაქრის და 20 ცალი ხელსახოცის (კლასიფიკატორის CPV- 15800000 კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი - 15831000; 15860000; 15861000; 15863000) შესყიდვა.

2.2. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 ივნისამდე;

3.2. მოწოდების ვადა: 2018 წლის 8 მაისი.

3.3. საქონლის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი გორგასლის #10.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 531. 50 (ხუთას ოცდათერთმეტი ლარი და 50 თეთრი) ლარს;

4.2. ერთი ცალი 190 გრამიანი ხსნადი ყავის (jacobs) ღირებულება შეადგენს 10.90 (ათი ლარი და 90 თეთრი) ლარს, 1 შეკვრა (შეკვრაში 25 ცალი პაკეტი კონვერტით) ჩაის (გურიელი) ღირებულება შეადგენს 3.80 (სამი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარს, 1 კგ შაქრის ღირებულება შეადგენს 1.19 (ერთი ლარი და 19 თეთრი) ლარს და ხელსახოცი „ორეი" თეთრი (100 ცალიანი) ერთი შეკვრის ღირებულება შეადგენს 0.85 (85 თეთრს) ლარს.

4.3. ხელშეკრულების საერთო და ერთეულის ფასი მოიცავს როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ ფასიანი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადასახადებს მათ შორის დღგ-ს გათვალისწინებით, ნებისმიერი ხარჯი ან გადასახადი, რომელიც არ შევა ამ ღირებულებაში არ ანაზღაურდება.

4.4. ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვილებაზე.

4.5. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილშემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:

5.1.1. საქონლის მიწოდებისას საქონლის ვარგისიანობის ვადა იყოს არანაკლებ მისი ვარგისიანობის მთლიანი ვადის 70%-ისა;

5.1.2. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

5.1.3. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

5.2.1 უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

5.2.2 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

6. ხარისხი

6.1. შემოთავაზებული საქონელი თავისი საგემოვნო თვისებებით უნდა შეესაბამებოდეს შესაბამის სტანდარტებს და უნდა იყოს სასმელად ვარგისი და ჯანმრთელობისთვის უვნებელი, რაზეც მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად, მოსახურების გაწევის დროს.

7.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროს განახორციელებს სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.

7.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი მოწოდებულ საქონლეში, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ მაგრამ არაუგვიანეს 1 (ერთი) დღისა გამოასწოროს წუნი.

7.4. წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

8. მიღება-ჩაბარების წესი

8.1. საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით, კონტროლის განმახორციელები პირ(ებ)ის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

8.2. საქონლის მიღებას აწარმოებს: სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი;

8.3. მიმწოდებლის მხრიდან წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე პასუხისმგებელი პირია შპს „ორი ნაბიჯი"-ს მაღაზიის მენეჯერი ხათუნა წურწუმია.

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

9.1.1. ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

9.1.2. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულება შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან (თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ეს გადამხდელი, დღგ-ეს არ გადამხდელობის შესახებ შესაბამისი ცნობის წარმოდგენიდან) და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-12 მუხლის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. ხელშეკრულების 3.2 პუნქტით გათვალისწინებული მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ასეთ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

11.2. ხელშეკრულების 7.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის აღმოფხვრისათვის დადგენილი ვადის გადაცილების შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო წუნდებული საქონლის ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

11.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ზიანის (პირგასამტეხლოს გათვალისწინებით) ანაზღაურება.

11.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13. დავების გადაწყვეტა

13.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

14.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

15. ფორს-მაჟორი

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი რაზმაძის სახით, **ფაქტიური მის:** ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №10 **ტელ:** 2 26 10 26 **საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში TRESGE22, ს/კ 206348987	**შპს „ორი ნაბიჯი"** წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის **მოვალეობის შემსრულებლის** შოთა **გიორგაძის** სახით, **მისამართი:** ქ.თბილისი, ნავთლუღის ქუჩა 39-41 **ტელ:** 2371760, ს/კ 20457166 **საბანკო რეკვიზიტები:** სს „თი ბი სი ბანკი", ანგარიშის ნომერი #GE27TB1928036020100009, ბანკის კოდი TBCBGE22.
გიორგი რაზმაძე	შოთა გიორგაძე